

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №46

2013 წლის 1 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 ივნისის №236 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 ივნისის №236 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/06/2011, 010220020.10.003.016396) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს ფინანსთა მინისტრი

კომისიის წევრი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

კომისიის წევრი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი

კომისიის წევრი – საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი

კომისიის წევრი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე

კომისიის წევრი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე/მოადგილე - სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

კომისიის წევრი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე

კომისიის წევრი – სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსი

კომისიის წევრი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

კომისიის წევრი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსი

კომისიის წევრი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსის მოადგილე

კომისიის წევრი – საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე

კომისიის წევრი – საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ბიძინა ივანიშვილი

